საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

1218-01-01-10-2-201803201629

N 01-01-10/1218
20/03/2018

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს
(პ/ნ 62011003485; ბათუმი, წერეთლის ქ. N6, ბ. 43; მობ: 557 200001)

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი 2018 წლის 16 მარტის განცახდების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

- ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD)-ის ვებ-გვერდზე გამოცხადდა ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობისათვის - საერთაშორისო ტენდერი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD)-ს ყვითელი წიგნის შესყიდვების მიხედვით - 2017 წლის 24 ივლის გამოცხადდა საერთაშორისო ორეტაპიანი ტენდერი. ტენდერში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2017 წლის 21 სექტემბერი. ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის ტენდერში დაინტერესებული 8 კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა სატენდერო განაცხადები. შემოსული განაცხადების განხილვასა და შესწავლას ახდენდა შპს „ჰიგიენა 2009“-ს სატენდერო კომისია, ასევე შპს „ჰიგიენა 2009“-ს მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD)-ს ყვითელი წიგნის შესყიდვების საერთაშორისო ექსპერტი; ბანკის (EBRD)-ს ყვითელი წიგნის წესების მშენებელ-ინჟინერი და პროექტის ,,მყარი ნარჩენების მართვა აჭარაში“ ფარგლებში ელექტრონულ ტენდერით შერჩეული ზედამხედველი კომპანია შპს „ფორმა-2 ის ფილიალი საქართველოში“.

სათანადო პროცედურების (სავარაუდოდ 1 თვე) შემდეგ გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია, რომელიც დაიწყებს ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობას, ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის ვადა განსაზღვრულია 18 თვე.

- ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის სამშენებლო სამუშაოებს განახორციელებს ზემოხსენებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია.

- ნაგავსაყრელი პოლიგონის მოწყობის პროექტში რაიმე ცვლილება არ განხორციელებულა.

- 2018 წლის 15 მარტის მდგომარეობით 151 ბენეფიციარზე გაიცა საკომპენსაციო თანხა, დარჩენილია 1 ბენეფიციარი, რომელსაც წარმოსადგენი აქვს დამატებითი დოკუმენტაცია.

- რაც შეეხება ოჯახებს, რომლებიც კომპენსაციის მიღებაზე უარს აცხადებს, ან შეთავაზებულ თანხას არ თანხმდება, ასეთი ბენეფიციარი პროექტის ფარგლებში არ არის.

- შპს „ჰიგიენა 2009“-ს მიღებული აქვს - „აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე (ნარჩენების განთავსება, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა“,

რომელიც დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 10 ივლისის N494 ბრძანებით. (გზშ-ის ელექტრონული ვერსია თან ერთვის).

- პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 7 მილიონ ევროს, რომელიც უნდა დაფინანსდეს EBRD -ისაგან 3 მილიონი ევრო - სესხის სახით და 4 მილიონი ევრო გრანტის სახით - შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.

- 2011-2017 წლებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯების დასაფარად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სულ გასულია 276,6 ათასი ლარი.

- შპს „ჰიგიენა 2009“-ს ყოფილი დირექტორი გასამართლებულია და სასჯელს იხდის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- რაც შეეხება ბათუმში მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის საკითხს, იგი წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას.

დანართი: „213“ ფურცელი

პატივისცემით,

რამაზ ბოლქვაძე

მინისტრი

.